

## შეთანხმება

### საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

საქართველოს მთავრობა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა შემდგომში ხელშემკვერელ მხარეებად წოდებულნი,

სურთ რა ხელი შეუწყონ, ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების განვითარებას, აგრეთვე საავტომობილო სამგზავრო და საგვირთო გადაზიდვების განხორციელების პირობების გამარტივებას თავიანთ ქვეყნებს შორის და ტრანზიტად მათი ტერიტორიების გავლით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### მუხლი 1 სფერო

1. ხელშემკვერელი მხარეები შეთანხმდნენ, რათა წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე და ეროვნული კანონმდებლობების შესაბამისად ხელი შეუწყონ საავტომობილო მიმოსვლის სფეროში თანამშრომლობას, საავტომობილო სამგზავრო და საგვირთო გადაზიდვების განვითარებას ორივე სახელმწიფოს შორის და ტრანზიტად მათი ტერიტორიების გავლით, ასევე მესამე ქვეყნებში ან მესამე ქვეყნებიდან და ამ მიზნებისათვის განსაზღვრონ აღნიშნული გადაზიდვების განხორციელების წესი.

2. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გადაზიდვები ხორციელდება ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებით (მათ შორის მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) გზებზე, რომლებიც ღიაა საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლისათვის.

3. წინამდებარე შეთანხმება არ გემოქმედებს ხელშემკვერელი მხარეების უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც გამომდინარეობენ სხვა საერთაშორისო შეთანხმებებიდან.

#### მუხლი 2 განსაზღვრებები

1. „გადაზიდვა“ – ნიშნავს ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც თავისი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ქირით ან ანაზღაურების საფასურად ან დამოუკიდებელ გადაზიდვებს ახორციელებს მგზავრების გადაყვანას, ტვირთის გადაზიდვას ან სხვა გადაზიდვებს.

2. „სატრანსპორტო საშუალება“ – ნიშნავს ავტოსატრანსპორტო საშუალებას:

ა) ცალკე აღებულს ან სატრანსპორტო საშუალებათა კომბინაციას;

ბ) განკუთვნილს მგზავრებისა (რომელიც კონსტრუირებულია და განკუთვნილია ცხრაზე მეტი მგზავრის გადასაყვანად, მძღოლის ჩათვლით – ავტობუსი) ან გვირთების საგზაო გადაზიდვებისათვის, რომელიც იმყოფება გადაზიდვების განკარგვაში მისი საკუთრების სახით, ან ქირაფენობის ან ლიზინგის კონტრაქტის ძალით;

გ) მსუბუქი ავტომანქანები.

3. „მისაბმელი“ – ნიშნავს უძრავ საგრანსპორტო საშუალებას, რომელიც განკუთვნილია ავტოსაგრანსპორტო საშუალების შემადგენლობაში მოძრაობისათვის.

4. „ნახევარამისაბმელი“ – ნიშნავს მისაბმელს, რომელიც ავტოსაგრანსპორტო საშუალებებზე იმგვარად არის მიერთებული, რომ მისი წინა ნაწილი ეყრდნობა მას და ნახევარამისაბმელისა და მასში მოთავსებული გვირთის საერთო წონის გარკვეული ნაწილი მოდის ავტოსაგრანსპორტო საშუალებაზე.

5. „რეგისტრაცია“ – ნიშნავს ხელშემკვრელი მხარის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ საგრანსპორტო საშუალებისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას. საგრანსპორტო საშუალებათა კომბინაციის შემთხვევაში, ავტოსაგრანსპორტო საშუალება წარმოადგენს პრიორიტეტულ ფაქტორს ნებართვების გაცემისას ან მათგან განთავისუფლებისას.

6. „ნებართვა“ – ნიშნავს გარკვეული ვადით გაცემულ სპეციალურ ლოკუმენტს, რომელიც მის მფლობელს აძლევს უფლებას განახორციელოს სამგზავრო გადაზიდვები (შესვლა, გამოსვლა და/ან ტრანზიტად მოძრაობა) ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.

7. „მასპინძელი ქვეყანა“ – ნიშნავს ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფო ტერიტორიას, რომელზეც ახორციელებს საქმიანობას საგრანსპორტო საშუალება იქ რეგისტრაციისა და შესაბამისი გადაზიდვების იქ დაფუძნების გარეშე.

8. „საავტომობილო გადაყვანა-გადაზიდვა“ – ნიშნავს საავტომობილო გზაზე საგრანსპორტო საშუალებით (მისაბმელით ან ნახევარამისაბმელით) მგზავრის ან გვირთის გადაყვანა/გადაზიდვას.

9. „დაფუძნების ქვეყანა“ – ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფო ტერიტორიას, რომელზეც დაფუძნებულია გადაზიდველი და რეგისტრირებულია საგრანსპორტო საშუალება.

10. „ტრანზიტი“ – ნიშნავს გვირთის გადაზიდვას (დაგვირთვის ან გადმოგვირთვის გარეშე) და მგზავრების გადაყვანას (ჩასხდომისა და გადმოსხდომის გარეშე) ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე დაფუძნებული გადაზიდვის მიერ, მეორე მონაწილე მხარის სახელმწიფო ტერიტორიის გავლით მესამე ქვეყანაში ან პირიქით.

11. „რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“ – ნიშნავს მგზავრების გადაყვანას, როდესაც მგზავრების გადაყვანა ხორციელდება განსაზღვრული მარშრუტითა და განრიგის მიხედვით. მგზავრების ჩასხდომა და გადმოსხდომა ხდება წინასწარ განსაზღვრულ გაჩერების ადგილებზე და განსაზღვრული ტარიფებით.

12. „არარეგულარული სამგზავრო გადაყვანა“ – ნიშნავს სამგზავრო გადაყვანას, რომლის განხორციელების პირობები განისაზღვრება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შემკვეთსა და გადაზიდვას შორის.

13. „კაბოგაჟი“ – ნიშნავს ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე განლაგებულ ორ პუნქტს შორის განხორციელებულ გადაზიდვას გადაზიდვის მიერ, რომელიც დაფუძნებულია მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.

14. ტერმინი „კომპეტენტური ორგანო“ ნიშნავს:

საქართველოსათვის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციას ან მათ უფლებამონაცვლე უწყებას.

სომხეთის რესპუბლიკისათვის – სომხეთის რესპუბლიკის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს.

ან, ორივე შემთხვევისათვის პიროვნება ან ორგანო, რომელიც უფლებამოსილია გემთაღნიშნული კომპეტენტური ორგანოების მიერ განახორციელოს ფუნქციები წინამდებარე შეთანხმების რეალიზაციისათვის.

### მუხლი 3 რეგულარული სამგზავრო გადაყვანა

1. რეგულარული სამგზავრო გადაყვანა ხორციელდება ნებართვების საფუძველზე.

2. რეგულარული სამგზავრო გადაყვანა არ საჭიროებს ნებართვას, როდესაც ხორციელდება ერთი ხელშემკვრელი მხარის გადამზიდვის მიერ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის ტრანზიტად გავლა.

3. ნებართვა რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის განსახორციელებლად გაიცემა განაცხადის საფუძველზე, რომელიც ხელშემკვრელი მხარის გადამზიდველის მიერ ეგზავნება მისი ქვეყნის რეგისტრაციის კომპეტენტურ ორგანოს ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტებისა და შემდეგი საბუთების თანხლებით.

ა) რეგულარული მარშრუტის სქემა;

ბ) ავტობუსის (ების) რეგულარულ მარშრუტზე მოძრაობის განრიგი შემდეგი ინფორმაციის მითითებებით:

ბ-ა) საწყისი, შუალედური და საბოლოო გაჩერების პუნქტები, ასევე ხელშემკვრელი მხარის საზღვრების საავტომობილო გამშვებ პუნქტებზე ავტობუსის (ების) მიმოსვლის მარშრუტი;

ბ-ბ) ხელშემკვრელი მხარის საზღვრების საავტომობილო გამშვებ და გასაჩერებელ პუნქტებზე ავტობუსის (ების) მოსვლის, გაჩერებისა და გასვლის დრო;

ბ-გ) პირდაპირი მიმართულებით და გაჩერების პუნქტს შორის რეგულარული მარშრუტის საწყისი და საბოლოო პუნქტის მანძილი;

ბ-დ) გადამზიდვების მიერ განხორციელებული რეისების რეგულარობა და პერიოდულობა;

ბ-ე) მგზავრის გადაყვანის ტარიფი გადამზიდვის დაფუძნების ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში.

4. განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ერთი ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურმა ორგანომ 10 დღის ვადაში წერილობით უნდა აცნობოს მეორე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

5. განმცხადებელს 10 დღის ვადაში შეიძლება უარი ეთქვას ნებართვაზე ხელშემკვრელი მხარეების შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების საფუძველზე და წარსულში ჩაღწეული საგზაო უსაფრთხოების კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში.

6. მგზავრების გადაყვანაზე მოთხოვნის არარსებობის ან არასაკმარისი მოთხოვნის შემთხვევაში, გადამზიდველმა ნებართვის გაუქმების თაობაზე წერილობით უნდა აცნობოს ნებართვის გამცემ კომპეტენტურ ორგანოს, ოპერირების შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე.

7. იმ გადამზიდვის რეგისტრაციის ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ, რომელმაც უარი განაცხადა სამგზავრო გადაყვანების განხორციელებაზე, ერთი თვის განმავლობაში წარუდგენს ინფორმაციას მეორე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს.

8. საგრანსპორტო ნებართვა წარმოადგენს პერსონალურს და მისი გადაცემა სხვა გადამზიდველისათვის ან მესამე მხარისთვის აკრძალულია.

#### **მუხლი 4**

#### **არარეგულარული სამგზავრო გადაზიდვები**

1. წინამდებარე შეთანხმების თანახმად სამგზავრო ავტოსაგრანსპორტო საშუალებით წარმოებული არარეგულარული სამგზავრო გადაზიდვები არ ექვემდებარება სანებართვო სისტემას. სანებართვო სისტემას ასევე არ ექვემდებარება:

ა) დამიანებული სამგზავრო საგრანსპორტო საშუალებების შეცვლა;

ბ) სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მწყობრიდან გამოსული საგრანსპორტო საშუალების შესაცვლელად გაგზავნილი საგრანსპორტო საშუალების დაუგვირთავი გარბენები, ასევე მწყობრიდან გამოსული საგრანსპორტო საშუალების უკანა გარბენი შეკეთების შემდეგ;

გ) ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული საექსპერტო სარეგისტრაციო ნომრით აღჭურვილი ახლად შეძენილი საგრანსპორტო საშუალებების (ახალი ან მეორადი მოხმარების) პირველი გარბენი, თუ ეს გარბენი მიმართულია იმ ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარისაკენ, სადაც უნდა მოხდეს ამ საგრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია.

დ) საგრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ახორციელებენ სამაშველო ან აღდგენით სამუშაოებს.

2. არარეგულარული სამგზავრო მომსახურება უნდა წარმოებდეს საკონტროლო საბუთების თანხლებით (მგზავრთა სია).

3. არარეგულარული სამგზავრო მომსახურების განმავლობაში მგზავრების აყვანა (საკონტროლო საბუთებში მითითებულ მგზავრების გარდა) ბორტზე არ არის ნებადართული.

## **მუხლი 5** **საგვირთო გადაზიდვები**

ორმხრივი ან ტრანზიტული მიმოსვლის შემთხვევაში გვირთის გადატანა, ასევე მესამე ქვეყნებში ან მესამე ქვეყნებიდან ხორციელდება ნებართვების გარეშე.

## **მუხლი 6** **საშიში გვირთების გადაზიდვა**

1. ხელშემკვრელ მხარეებს შორის იარაღის და საბრძოლო მასალის, ბირთვული, რადიაქტიული ობიექტების და ნივთიერებების, ბირთვული მასალების, რადიაქტიული ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), რომლებისაგან პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალის მიღება, ყველაფრის, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიული ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიების ან ნოუ-ჰაუების გადაზიდვა ან მათი ტრანზიტი თითოეული ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე საჭიროებს სპეციალურ ნებართვებს.

2. სპეციალური ნებართვა გადაზიდველმა უნდა მიიღოს მეორე ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ორგანოებისაგან.

3. შეგანისათვის აკრძალული ადამიანის ჯანმრთელობის, მცენარეთა და ცხოველისათვის საშიში გვირთების გადატანის შემთხვევაში გადაზიდვას ჩამოერთმევა ნებართვა შეგანასა და ტრანზიტზე.

4. თუ ნებართვაში, რომელიც მითითებულია ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში ნაჩვენებია გადაზიდვის განსაზღვრული მარშრუტი, მაშინ გადაზიდვები ხორციელდება ამ მარშრუტის მიხედვით.

## **მუხლი 7** **კაბოტაჟი**

კაბოტაჟი აკრძალულია

## **მუხლი 8** **გადასახადები და მოსაკრებლები**

1. საგრანსპორტო საშუალებები, მათ შორის მსუბუქი ავტომობილები, რეგისტრირებული ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, რომლებიც ახორციელებენ გადაზიდვას წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე თავისუფლდებიან საერთო სარგებლობის გზების გამოყენებისათვის დაწესებული გადასახადისა და მოსაკრებლისაგან, ისევე როგორც ყველა სპეციალური მოსაკრებლისაგან და ბეგარისაგან, რომლებიც დადგენილია მიმღები მხარის ეროვნული კანონმდებლობით, გარდა:

ა) მოსაკრებლისა, რომლებიც განსაზღვრულია ფასიანი გზების ინფრასტრუქტურის გამოყენებისათვის (გზებით, ხილებით და გვირაბებით სარგებლობის ბაჟი) ალტერნატიული უფასო გზების არსებობისას;

ბ) მოსაკრებელი, თუ საგრანსპორტო საშუალებების წონა, გაბარიტი ან დაგვირთვა აღემატება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ მღვარს.

2. წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად გადაზიდვების განხორციელებისას ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლისაგან თავისუფლდება მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე შეგანილი შემდეგი მასალები:

ა) საწვავი, მოთავსებული საგრანსპორტო საშუალების სტანდარტულ, წარმოების მიერ დამონტაჟებულ ავზებში,

ბ) საცხებ-საპოხი მასალები, რომლებიც იმყოფება საგრანსპორტო საშუალებაზე გადაზიდვის განხორციელების დროს, მხოლოდ ექსპლუატაციის საჭიროებიდან გამომდინარე,

გ) სათადარიგო ნაწილები და ინსტრუმენტები, რომლებიც განკუთვნილია ავტოსაგრანსპორტო საშუალების მიმდინარე რემონტისათვის ან აუცილებელია მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მყოფი დამიანებული საგრანსპორტო საშუალების რემონტისათვის.

3. ინსტრუმენტები და გამოყენებელი სათადარიგო ნაწილები ექვემდებარება ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიიდან გამოგანას. შეცვლილი სათადარიგო ნაწილები ასევე ექვემდებარება გამოგანას ან უნდა განადგურდეს მოცემული ხელშემკვრელი მხარის საბაჟო ორგანოების მეთვალყურეობით.

## **მუხლი 9** **წონები და გაბარიტები**

1. საგრანსპორტო საშუალებების წონა, ღერძული დაგვირთვის ჩათვლით და გაბარიტები უნდა შეესაბამებოდეს საგრანსპორტო საშუალების ოფიციალურად რეგისტრირებულ მაჩვენებელს და არ უნდა აჭარბებდეს მიმღები ქვეყნის კანონმდებლობით მოქმედ შეზღუდვებს.

2. წინამდებარე შეთანხმების დებულებების ძალით განხორციელებული საავტომობილო გადაყვანა-გადაზიდვის შემთხვევაში, როცა დაგვირთული ან დაუგვირთავი საგრანსპორტო საშუალების წონა ან/და გაბარიტები აჭარბებს მიმღებ ქვეყანაში ნებადართულ მღვრებს, აუცილებელია ამ ქვეყნის შესაბამისი უწყების მიერ გაცემული იქნას მიმღები ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური ნებართვა (რეკომენდაცია).

## **მუხლი 10** **შესაბამისობა ეროვნულ კანონმდებლობასთან**

1. ხელშემკვრელი მხარეების საგრანსპორტო გადაზიდვები და მათი ეკიპაჟები მოვალენი არიან მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფო გერიტორიაზე ყოფნისას დაიცვან მოვალეობანი, რომლებიც გამომდინარეობენ:

ა) იმ საერთაშორისო შეთანხმებიდან, რომლის მონაწილე მხარეებსაც ისინი წარმოადგენენ;

ბ) წინამდებარე შეთანხმებიდან;

გ) ეროვნული კანონმდებლობიდან.

2. ეროვნული ან დაფუძნების ადგილის დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით ამ მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული წესები თანაბრად ვრცელდება ორივე ხელშემკვრელ მხარის გადაზიდვებზე.

## **მუხლი 11** **დარღვევები და სანქციები**

საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო გერიტორიაზე დაფუძნებული გადაზიდვების მიერ წინამდებარე შეთანხმების დებულების ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში ხელშემკვრელი მხარე, რომლის გერიტორიაზეც მოხდა დარღვევა, ეროვნული საკანონმდებლო პროცედურებისათვის ზიანის მიუყენებლად, აცნობებს ამის თაობაზე მეორე ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც მიიღებს თავისი ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს. ხელშემკვრელი მხარეები აგრეთვე აცნობებენ ერთმანეთს მიღებული სანქციების შესახებ.

## **მუხლი 12** **შერეული კომისია**

1. ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოები ქმნიან შერეულ კომისიას, რათა უზრუნველყონ:

ა) წინამდებარე შეთანხმების გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხის გადაწყვეტა;

ბ) წინამდებარე შეთანხმების შესრულების შედეგებისა და საავტომობილო გადაყვანა-გადაზიდვების განვითარების შესახებ წინადადებების წარდგენა.

გ) წინამდებარე შეთანხმების გექსტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ წინადადებების მომზადება.

2. შერეული კომისია იკრიბება ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოს თხოვნით, მაგრამ არა ნაკლებ ველიწაღში ერთხელ, ხელშემკვრელი მხარეების გერიტორიაზე მონაცვლეობით.

## **მუხლი 13** **ცვლილებები**

ნებისმიერ მხარეს შეუძლია დააყენოს საკითხი წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, რომლებიც ფორმულირებული იქნება ცალკე ოქმში.

ოქმი წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის იმ პროცედურების შესაბამისად, რომლებიც აუცილებელია წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლისათვის.

## **მუხლი 14** **ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა**

1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ძალაში შევსლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ ბოლო წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან.

2. წინამდებარე შეთანხმება იდება განუსაზღვრელი ვადით.

3. რომელიმე ხელშემკვრელ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია გადაუგზავნოს მეორე ხელშემკვრელ მხარეს შეტყობინება წინამდებარე შეთანხმების შეწყვეტის თაობაზე. ამ შემთხვევაში წინამდებარე შეთანხმების მოქმედება შეწყდება მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ ამ შეტყობინების მიღებიდან 6 (ექვსი) თვის შემდეგ, თუ ამ ვადის გასვლამდე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე არ განხორციელდა შეტყობინების უკან გამოთხოვა.

4. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1997 წლის 3 მაისს ხელმოწერილი შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ“ და 2005 წლის 29 სექტემბერს ქ. ერევანში ხელმოწერილი ოქმი „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ 1997 წლის 3 მაისის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

შესრულებულია ქ. თბილისში, 2006 წლის 25 ---- , ორ პირად, თითოეული ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა გექსტი თანაბრად აუთენტიკურია. წინამდებარე შეთანხმების დებულებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული უთანხმოების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გექსტს რუსულ ენაზე.

**საქართველოს მთავრობის სახელით**

**სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით**